



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 38
04/05/2016

38-06-4-201605041641



განკარგულება N38

4 მაისი 2016 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სერვიტუტით გამოყენებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 247-253-ე მუხლების და

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 190 კვ.მ. (ს/კ. 26.28.14.405) მიწის ნაკვეთის (გზის) მოქალაქე ქეთევან აფხაიძის (პ/ნ 60001000722, მცხ: ქ. ქუთაისში სულხანსაბას გამზირი N73. ბინა N44) სასარგებლოდ პირდაპირი განკარგვის წესით, 10 (ათი) წლის ვადით, სასყიდლიანი სერვიტუტის გამოყენებაზე (დატვირთვაზე).

მუხლი 2. სერვიტუტის უფლებით გამოყენებულ ქონებაზე წლიური ქირა განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დიმიტრი კვერდელიძე

თავმჯდომარის მოადგილე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო